



საქართველოს კინემატოგრაფიის
ეროვნული ცენტრი
Georgian National
Film Center



სნობის ფურცელი

აპრილი, მაისი, ივნისი

2021



მიმდინარე კონკურსები

1. სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის წარმოების კონკურსი;
2. დოკუმენტური ფილმის წარმოების კონკურსი;
3. პირველი სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის წარმოების კონკურსი;
4. მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმის წარმოების კონკურსი.

დასრულდა:

1. მოკლემეტრაჟიანი ანიმაციური ფილმის წარმოების კონკურსი.



„აღდგომა“



„მშვენიერი ელენე“

მოსამზადებელ პერიოდშია:

- ▶ სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „გამთრისპირის სევდა“ (პროდიუსერი – შპს „Film Asylum“, რეჟისორი – აკაკი შანშიაშვილი);
- ▶ სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „როცა 17 წლის ხარ“ (პროდიუსერი – შპს „ტერა ინკოგნიტო ფილმს“, რეჟისორი – გიორგი მუხაძე);
- ▶ სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „დროებითი ჭერი“ (პროდიუსერი – შპს „ნათურა ფილმი“, რეჟისორი – გიორგი ქობალია);
- ▶ ქართულ-უცხოური წარმოების სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის პროექტი „ანტიკვარიატი“ (პროდიუსერი – შპს „სინეტეჟი“, რეჟისორი – რუსუდან გლურჯიძე);
- ▶ სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ანატორი: მკვდრების სოფელი“ (პროდიუსერი – შპს „სიბლერ ფროდაქშენი“, რეჟისორი – გიორგი გოგიჩაიშვილი);
- ▶ დოკუმენტური ფილმი „ოცნება კადილაკზე“ (შპს „პარაშუტი“ რეჟისორი – ელენე მიქაბერიძე);
- ▶ სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „წმინდა ელექტროენერგია“ (პროდიუსერი – შპს „განგო სტუდია“, რეჟისორი – ვახტანგ კოტეტიშვილი);
- ▶ სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ორმო“ (პროდიუსერი – შპს „ტერა ინკოგნიტო ფილმს“, რეჟისორი – გიორგი ჩალაური);
- ▶ სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „მთვარე მამაა ჩემი“ ((პროდიუსერი – შპს „ვაგონეტი“, რეჟისორი – გიორგი ოვაშვილი);
- ▶ სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „წყლების მაღაზია“ (პროდიუსერი – შპს „სტუდია – 99“, რეჟისორი – შტეფან ტოლცი);
- ▶ მოკლემეტრაჟიანი ანიმაციური ფილმი „პატარა ხოჭო“ (პროდიუსერი – შპს „ელელენდი“, რეჟისორი – ელენე სებისკვერაძე).



„ფრენცის სასადილო“



„შუშის კუნთი“

- ▶ მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „უხერხემლო“ (პროდიუსერი – შპს „Film Asylum“, რეჟისორი – გრიგოლ აბაშიძე).


გადაღების პერიოდშია:

- ▶ სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „პეპლების იძულებითი მიგრაცია“ – (პროდიუსერი შპს „სტუდია-99“, რეჟისორი – ნანა (ნინო) ჭორჭაძე);
- ▶ სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ველი“ (პროდიუსერი – შპს „პანსიონატი“, რეჟისორი – გიორგი ცქვიტინიძე);
- ▶ სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ვენეცია“ (პროდიუსერი – შპს „ნიკე სტუდო“, რეჟისორი – რუსუდან ჭყონია);
- ▶ სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „მოქალაქე წმინდანი“ (პროდიუსერი – შპს „არტიზმი“, რეჟისორი – თინათინ ყაჭრიშვილი);
- ▶ სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „წესების დაცვით“ (პროდიუსერი – შპს „მალჰოლანდ ფილმი“, რეჟისორი – დოვერ ქოსაშვილი);
- ▶ დოკუმენტური ფილმი „კავკასიონის ხუთი ხედი“ (პროდიუსერი – შპს „EcoFilms“, რეჟისორი – ნიკა წიკლაური);
- ▶ დოკუმენტური ფილმი „ბოლო ზარი“ (პროდიუსერი – შპს „ნათურა ფილმი“, რეჟისორი – ბესო (გივი) ოდიშრია);
- ▶ დოკუმენტური ფილმი „ატონალური გაბრწყინება“ (ააიპ „სპარკ“, რეჟისორი – ალექსანდრე ქორიძე);
- ▶ მოკლე მხატვრული ფილმი „ჩატვირთვა“ (პროდიუსერი – შპს „დიგიტალ ქითჩენ ფილმსი“, რეჟისორი – გიორგი წილოსანი);
- ▶ მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „უხერხემლო“ (პროდიუსერი – შპს „Film Asylum“, რეჟისორი – გრიგოლ აბაშიძე);

- ▶ მოკლემეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „ბერი“ (პროდიუსერი – შპს „ორნი“, რეჟისორი და სცენარის ავტორი- სანდრო სულაძე, თინიკო ნადირაშვილი);
- ▶ დოკუმენტური ფილმი „ლიმილიანი საქართველო“ (პროდიუსერი – შპს „1991 ფროდაქშენს“, რეჟისორი და სცენარის ავტორი – ლუკა ბერაძე);
- ▶ დოკუმენტური ფილმი „მუღამათი“ (პროდიუსერი – ი/მ თამთა გაბრიჩიძე, რეჟისორი და სცენარის ავტორი – თამთა გაბრიჩიძე);
- ▶ სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „თხილი“ (პროდიუსერი – შპს „იბერიკა ფილმი“, რეჟისორი – ლევან კოლუაშვილი);
- ▶ მცირებუჯეტიანი სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ინგა„; (პროდიუსერი – შპს „სიბლერ ფილმსი“, რეჟისორი – დავით აბრამიშვილი);
- ▶ სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ტერცო მონდო“ (პროდიუსერი – სს „ქართული ფილმი“, რეჟისორი – მერაბ კოკოჩაშვილი);
- ▶ ანიმაციური ფილმი „კატოს სიზმრები“; (პროდიუსერი – შპს „20 steps productions“ რეჟისორი – ცოტნე რუსიშვილი).

პოსტ-პროდუქციის პერიოდშია:

- ▶ სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „სადმიდისლიზა“ (პროდიუსერი – შპს „N&N“, რეჟისორი – ნანა ჯანელიძე);
- ▶ მოკლე მხატვრული ფილმი „აუზი“ (პროდიუსერი – შპს „ტერა ინკოგნიტო ფილმს“, რეჟისორი – სალომე ლაცაბიძე);
- ▶ მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ტოტოს უკანასკნელი დღეები“ – (პროდიუსერი – შპს „ბი აი თი სტუდიო“, რეჟისორი – თორნიკე ტიკარაძე);
- ▶ ანიმაციური ფილმი „განდევილი“ (პროდიუსერი – შპს „შემოქმედებითი სანარმოო გაერთიანება ლირა ფროდაქშენი“, რეჟისორი – დათო კიკნაველიძე);
- ▶ ანიმაციური ფილმი „ჩაკრულოს მოძებნა“; (პროდიუსერი – შპს „ვოქსელ“ რეჟისორი – თეიმურაზ სიხარულიძე);
- ▶ სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „დიდი შესვენება“ (პროდიუსერი – შპს „მილიმეტრ ფილმი“, რეჟისორი – დათა ფირცხალავა);
- ▶ ქართულ-უცხოური წარმოების სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის პროექტი „სიჩუმის დარღვევა“ (პროდიუსერი – შპს „თეიქს ფილმი“, რეჟისორი – ელენე ნავერიანი);
- ▶ მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „მცხუნვარე მზებზე“ (პროდიუსერი – შპს „ტერა ინკოგნიტო ფილმს“, რეჟისორი – ნუცა წიქარიძე);



„როცა 17 წლის ხარ“



„ჩატვირთვა“

- ▶ სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „მშვენიერი ელენე“ (პროდიუსერი – შპს „ვაგონეტი“, რეჟისორი – გიორგი ოვაშვილი);
- ▶ დოკუმენტური ფილმი „აღდგომა“ (პროდიუსერი – ააიპ „ნიკადოკ ფილმი“, რეჟისორი – ნიკოლოზ ბეჟანიშვილი);
- ▶ ანიმაციური ფილმი „ფრენცის სასადილო“ (პროდიუსერი-ააიპ „სტუდია ჭიბის კაცი“, რეჟისორი/ანიმატორი – ანა ჩუბინიძე).
- ▶ ქართულ-უცხოური წარმოების სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის პროექტი „წვიმა ორ ნაპირზე“ (პროდიუსერი – შპს „ბათუმის საავტორო ფილმების სტუდია“, რეჟისორი – ზაზა ხალვაში);
- ▶ მცირებიუჯეტიანი სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „აღარ შემიძლია“ (პროდიუსერი – შპს „პარაშუტი“, რეჟისორი – ეკატერინე ჭელიძე);
- ▶ სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ბოსტანი კონფლიქტის ზონაში“ (პროდიუსერი – შპს „სოლოსოლო“, რეჟისორი – ბესიკ სოლომანაშვილი);
- ▶ მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „უსაზღვროდ“ (პროდიუსერი და რეჟისორი – ფიზიკური პირი ლუკა მგელაძე);
- ▶ სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „მომავალი მომავლის შემდეგ“ (პროდიუსერი – შპს „ბათუმის საავტორო ფილმების სტუდია“, რეჟისორი – სალომე და თამთა ხალვაში);
- ▶ სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „სატრფიალო პასტორალი“ (პროდიუსერი – შპს „თთფილმი“, რეჟისორი – თინათინ გურჩიანი);
- ▶ სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „მომთაბარე“ (პროდიუსერი – შპს „პანსიონატი“, რეჟისორი – ირაკლი მეტრეველი);
- ▶ მოკლემეტრაჟიანი ანიმაციური ფილმი „შეყვარებული ბაყაყი“ (პროდიუსერი – შპს „ელიენ ქინდ“, რეჟისორი – ვალ ხარიტონაშვილი).

დასრულდა

- მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ჰაერი ლურჯი აბრეშუმია“ – (პროდიუსერი – შპს „სტუდია კედარი“, რეჟისორი – ირინე ჟორდანიას);
- დოკუმენტური ფილმი „ჩემი მეზობელი“ (პროდიუსერი – ააიპ „კავშირი ოპიოდოკი“ რეჟისორი – მარადია ცაავა);
- დოკუმენტური ფილმი „მალა თაზოა“ (პროდიუსერი – შპს. ს.ს.ს., რეჟისორი – თორნიკე ბზიავა);
- სადებიუტო სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „გაპიკოება“ (პროდიუსერი – ინდ/მენარმე გიო მგელაძე – კატმანდუ, რეჟისორი – გიორგი მგელაძე);
- მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ნათლობა იორდანეში“ (პროდიუსერი – შპს „სტუდია 99“, რეჟისორი – მიხეილ კვირიკაძე);
- მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „შუშის კუნთი“ (პროდიუსერი – შპს „ნუში ფილმი“, რეჟისორი – ვაჟა ჩაჩხიანი).
- სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „დრამერი“ (პროდიუსერი – შპს „პარაშუტი“, რეჟისორი – კონსტანტინე კალანდაძე);
- მოკლე მხატვრული ფილმი „მეზობელი“ (პროდიუსერი – შსგ „მეტრო ფილმ ფროდაქშენი“, რეჟისორი – დათო ბორჩხიძე).



„პატარა ხოჭო“



„კავკასიონის ხუთი ხედი“

განვითარების პროცესშია:

- ▶ „მეათე მონმე“ – (საპროდიუსერო კომპანია – შ.პ.ს. „Its STUDIO“, სცენარის ავტორი – გიგა ლიკლიკაძე.);
- ▶ „თარჯიმანი“ – (საპროდიუსერო კომპანია – შ.პ.ს. „ა.კ.ა ფილმს“, სცენარის ავტორი – ანა ხაზარაძე.);
- ▶ „მამა აბრამის ბატკანი“ – (საპროდიუსერო კომპანია – შ.პ.ს. „ვაგონეტი“, სცენარის ავტორი – გიორგი ოვაშვილი);
- ▶ „კაი ბიჭები“ – (საპროდიუსერო კომპანია – შპს „20 steps productions“, რეჟისორი – გიორგი თავართქილაძე, სცენარის ავტორი – გიორგი თავართქილაძე);
- ▶ „თავადის ქალი“ – (საპროდიუსერო კომპანია – შოს „ტერა ინკოგნიტა ფილმს“, რეჟისორი – მარგო ზუბაშვილი – სცენარის ავტორი – მარგო ზუბაშვილი);
- ▶ „ქალაქის ეკრანი“ – (საპროდიუსერო კომპანია – შპს „აქტმედია“, რეჟისორი – თამარ მშვენიერაძე, სცენარის ავტორი – თამარ მშვენიერაძე);
- ▶ „გაკოტრება“ – (საპროდიუსერო კომპანია – ააიპ „მიკროკოსმოსი“, რეჟისორი – სალომე ჯაში – სცენარის ავტორი – სალომე ჯაში);
- ▶ „არავინ იცის ხვალ რა მოხდება“ – (საპროდიუსერო კომპანია – შპს „მილიმეტრ ფილმი“, რეჟისორი – ვაჟა ზუბაშვილი – სცენარის ავტორი – ვაჟა ზუბაშვილი);
- ▶ „უოლდენი“ – (საპროდიუსერო კომპანია – შპს „შემოქმედებითი საწარმოო გაერთიანება ლირა პროდაქშენი“, რეჟისორი – გურამ მეგრელიშვილი, სცენარის ავტორი – გურამ მეგრელიშვილი).

დასრულდა:

- „რუსთაველის ქვეყანა“ – (საპროდიუსერო კომპანია – ააიპ „საავტორო ფილმების სტუდია“, რეჟისორი – ზურაბ ინაშვილი, სცენარის ავტორი – ზურაბ ინაშვილი);
- „მჩხიბავი“ – (საპროდიუსერო კომპანია – შპს „ბი აი თი სტუდიო“, რეჟისორი – ანა კვიტიძე, სცენარის ავტორი – ანა კვიტიძე);
- „ბიჭის მოლოდინში“ – (საპროდიუსერო კომპანია – შპს „სვანეთის კინო სტუდია“, რეჟისორი – მარიამ ხაჭვანი, სცენარის ავტორი – მარიამ ხაჭვანი);
- „ცრემლსადენი გაზი“ – (საპროდიუსერო კომპანია – შპს „1991 ფროდაქშენს“, რეჟისორი – უტა ბერია, სცენარის ავტორი – უტა ბერია);
- „ის“ – (საპროდიუსერო კომპანია – შპს „New wave“, რეჟისორი – გაბრიელ რაზმაძე – სცენარის ავტორი – ლევან ცერცვაძე);
- „ვიდინოტ“ – (საპროდიუსერო კომპანია – შპს „საქდოკ ფილმი“, რეჟისორი – სოფიო მედოიძე – სცენარის ავტორი – სოფიო მედოიძე);
- „ნება“ – (პროდიუსერი – ინდ/მენარმე „გიორგი ქობალია“, სცენარის ავტორი – გიორგი (ლაშა) ცქვიტინიძე.);
- „ქალაქის ხმაური“ – (საპროდიუსერო კომპანია – შპს „თეიქს ფილმ“, რეჟისორი – პაპუნა მოსიძე, სცენარის ავტორი – პაპუნა მოსიძე, ალექსანდრე ნავერიანი);
- „საჩუქარი“ – (საპროდიუსერო კომპანია – შპს „ბენეფაქტორი“, რეჟისორი – ზაზა მერაბიშვილი – სცენარის ავტორი – ზაზა მერაბიშვილი);
- „ვაშლი და ისარი“ – (საპროდიუსერო კომპანია – შპს „20 steps productions“, რეჟისორი – ალექსანდრე ცაბაძე – სცენარის ავტორი – არჩილ ქიქოძე, ალექსანდრე ცაბაძე);
- „ნენე“ – (საპროდიუსერო კომპანია – შპს „20 steps productions“, რეჟისორი – მარიამ ხაჭვანი, სცენარის ავტორი – მარიამ ხაჭვანი);
- „ხანძარი“ – (საპროდიუსერო კომპანია – შ.პ.ს „ფილმ Asylum“, სცენარის ავტორი – გიორგი ქობალია.);
- „ნახევრად მოგონილი ამბავი“ – (საპროდიუსერო კომპანია – „მილიმეტრ ფილმი“, სცენარის ავტორი – ირინე ჟორდანი, ირინე ჯავახიძე, დავით უჭმაჭურიძე.).

ბერლინის საერთაშორისო კინოფესტივალის საზაფხულო გამოშვება

16 ივნისს ბერლინის საერთაშორისო კინოფესტივალზე 2 ქართული ფილმის ჩვენება შედგა:

- ალექსანდრე კობერიძის მხატვრული ფილმი “რას ვხედავთ როდესაც ცას ვუყურებთ” (მთავარი კონკურსი);
- სალომე ჯაშის დოკუმენტური ფილმი “მოთვინიერება” (სექცია ფორუმი).

მარტში ბერლინალეს კინოჩვენებები ფესტივალზე აკრედიტებული სტუმრებისა და კინო-კრიტიკოსებისთვის ონლაინ გაიმართა, საზაფხულო გამოშვების ფარგლებში კი მსოფლიოს ერთ-ერთი პრესტიჟული კინოფესტივალის პროგრამას აუდიტორია ფიზიკურად დაესწრო.



ბერლინის საერთაშორისო კინოფესტივალის მსოფლიოში ერთ-ერთი მთავარი კინომოვლენაა, რომელიც კანისა და ვენეციის კინოფესტივალებთან ერთად, ევროპის წამყვან კინოფესტივალთა სამეულში შედის. საქართველოს თანამშრომლობა ბერლინალესთან 35 წლიან ისტორიას ითვლის და ამ წლების მანძილზე არაერთი ქართული ფილმი ღირსეულად წარსდგა კინოფესტივალზე.

ლევან კოლუაშვილის ფილმი “მეოთხე ბრაიტონი” ტრაიბეკას საერთაშორისო კინოფესტივალზე 3 მთავარი ჯილდოს მფლობელი გახდა

ლევან კოლუაშვილის ფილმი “მეოთხე ბრაიტონი” ტრაიბეკას საერთაშორისო კინოფესტივალზე 3 მთავარი ჯილდოს მფლობელი გახდა (საერთაშორისო მხატვრული ფილმების კონკურსი):

- საუკეთესო ფილმი;
- საუკეთესო სცენარი;
- საუკეთესო მსახიობი – ლევან თედიაშვილი.



„მეოთხე ბრაიტონი“ გვიყვება ამაღელვებელ ისტორიას ქართველი მოჭიდავის – კახის შესახებ, რომელიც ბრუკლინში ჩადის, რათა შვილს აზარტული თამაშების ვალის გადახდაში დაეხმაროს.

ფილმში კახის როლს ლეგენდარული ქართველი მოჭიდავე, მსოფლიო ჩემპიონატის ხუთ გზის და ოლიმპიური თამაშების ორ გზის ჩემპიონი – ლევან თედიაშვილი ასრულებს. ერთ – ერთ მთავარ როლშია ასევე ლეგენდარული ქართველი მსახიობი კახი კავსაძე, რომლისთვისაც “მეოთხე ბრაიტონი” სამწუხაროდ ბოლო ფილმი აღმოჩნდა. ფილმის დამდგმელი ოპერატორია ფედონ პაპამიქაელი, რომელიც ორჯერ იყო ნომინირებული ოსკარზე, როგორც საუკეთესო კინოოპერატორი.

„მეოთხე ბრაიტონის“ ძირითადი ნაწილი გადაღებულია ნიუ იორკში, ეროვნული კინოცენტრის მხარდაჭერით. ფილმი საქართველოს, ბულგარეთის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და რუსეთის კოპროდუქციაა. “მეოთხე ბრაიტონის” ერთ-ერთი თანაპროდიუსერია საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი, ხოლო თანადამფინანსებელი საქველმოქმედო ფონდი “ქართუ”.

ლევან კოლუაშვილისა და ტრაიბეკას საერთაშორისო კინოფესტივალის თანამშრომლობა 2006 წელს იწყება, როდესაც რეჟისორმა კინოფესტივალზე მოკლემეტრაჟიანი ფილმი „ვალი“ წარმოადინა.

ტრაიბეკას საერთაშორისო კინოფესტივალის 2001 წელს რობერტ დე ნირომ და ჯეინ როზენტალმა დააარსეს და მას შემდეგ ღონისძიება ყოველწლიურად ნიუ იორკში იმართება.

ალექსანდრე კობერიძის ფილმი “რას ვხედავთ როდესაც, ცას ვუყურებთ?” საერთაშორისო კინოფესტივალებზე

ალექსანდრე კობერიძის ფილმი “რას ვხედავთ როდესაც, ცას ვუყურებთ?” საერთაშორისო კინოფესტივალებზე მოგზაურობას განაგრძობს.



18 ივნისს ფილმის ჩვენება გაიმართა ბაზელში, საერთაშორისო კინოფესტივალ BILDRAUSCH-ის საერთაშორისო კონკურსში. 25 ივნისს “რას ვხედავთ როდესაც, ცას ვუყურებთ?” აჩვენეს იტალიაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფესტივალზე სახელწოდებით La Mostra Internazionale del Nuovo Cinema, ასევე საკონკურსო სექციაში. ფესტივალის ქალაქ პეზაროში წელს 57-ედ ჩატარდა.

იტალიის შემდეგ ალექსანდრე კობერიძის ნამუშევარს აჩვენებენ საფრანგეთში, კინოფესტივალზე La Rochelle Cinéma (Fema). ღონისძიება 1973 წლიდან იმართება. სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმების სექციაში წელს 38 ფილმია წარმოდგენილი. ივლისის თვეში კი ფილმს “რას ვხედავთ როდესაც, ცას ვუყურებთ?” უმასპინძლებს GARAGE – ღონისძიება, რომელიც რუსეთში თანამედროვე ხელოვნებისა და კულტურის პოპულარიზაციას ემსახურება.

ალექსანდრე კობერიძის ფილმის მსოფლიო პრემიერა შედგა ბერლინის საერთაშორისო კინოფესტივალის მთავარ კონკურსში, სადაც მას გადაეცა ფიპრესის ჭილდო. აღსანიშნავია, რომ ფილმის შესახებ შესანიშნავი რეცენზიები დაიწერა საერთაშორისო პრესაში.

სალომე ჯაშის დოკუმენტური ფილმი „მოთვინიერება“

ნიუ იორკმა კინოფესტივალ The New Directors/New Films-ის 50-ე, საიუბილეო გამოშვებას უმასპინძლა. ღონისძიების ორგანიზატორები არიან თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი (MoMA) და ლინკოლნის ცენტრის კინოსაზოგადოება.

საიუბილეო გამოშვების ფარგლებში შერჩეულ ფილმებს შორის იყო სალომე ჯაშის დოკუმენტური ფილმი „მოთვინიერება“. კინოჩვენებები ონლაინ ფორმატში ჩატარდა 28 აპრილიდან 8 მაისის ჩათვლით.

აღსანიშნავია, რომ ამავე პერიოდში „მოთვინიერება“ დაჯილდოვდა უკრაინში საუკეთესო დოკუმენტური ფილმის ჯილდო ადამიანის უფლებების საერთაშორისო კინოფესტივალზე და მექსიკაში, კინოფესტივალზე Festival Internacional de Cine UNAM.

ფილმი ასევე აჩვენეს კანადაში, დოკუმენტური ფილმების საერთაშორისო ფესტივალზე Hot Docs Canadian International Documentary Festival და საერთაშორისო კინოფესტივალზე Ficmec, სადაც იგი საუკეთესო დოკუმენტური ფილმი გახდა.



დიტო ცინცაძის ფილმი „ჩაისუნთქე-ამოისუნთქე“ პრემია „ნიკას“ მფლობელია

დიტო ცინცაძის ფილმი „ჩაისუნთქე-ამოისუნთქე“ პრემია „ნიკას“ მფლობელი გახდა ნომინაციაში დსთ-ს, საქართველოსა და ბალტიისპირეთის ქვეყნების საუკეთესო ფილმი.

დაჯილდოვების ცერემონია შედგა 25 აპრილს.

ფილმ „ჩაისუნთქე-ამოისუნთქეს“ მსოფლიო პრემიერა 2019 წელს გაიმართა შანხაის საერთაშორისო კინოფესტივალზე, სადაც მან დაიმსახურა ჟიურის მთავარი ჯილდო და პრიზი საუკეთესო მსახიობი ქალისთვის (სალომე დემური).

საქართველო ანსის ანიმაციური ფილმების საერთაშორისო ფესტივალზე

14-19 ივნისს საფრანგეთი ანიმაციური ფილმების ერთ-ერთ ყველაზე მასშტაბურ ფესტივალს მასპინძლობდა. ქალაქ ანსიში კინოფესტივალი 1960 წლიდან იმართება და ყოველწლიურად იქ მსოფლიოს წამყვანი კინოპროფესიონალები იყრიან თავს.

წელს კინოფესტივალის საკონკურსო პროგრამაში „პერსპექტივა“ წარმოდგენილი იყო ქართული ანიმაციური ფილმი „მიტოვებული სოფელი“ (რეჟისორი – მარიამ კაპანაძე, პროდიუსერი – მარიამ კანდელაკი). ანიმაციის მსოფლიო პრემიერა გაიმართა იაპონიაში, ჰოკაიდოს საერთაშორისო კინოფესტივალზე. „მიტოვებული სოფელი“ შექმნილია სტუდია „კვალი XXI“-ის მიერ ეროვნული კინოცენტრის მხარდაჭერით კინოცენტრი ქართული ფილმი-აფხაზეთის ბაზაზე.

აღსანიშნავია, რომ წელს ეროვნული კინოცენტრი საქართველოს ანიმატორთა ასოციაცია „საქანიმასთან“ თანამშრომლობით ანსის საერთაშორისო კინოფესტივალის კინობაზრობაზე წარმოდგენდა საქართველოს ვირტუალურ პავილიონს. ქართველ ანიმატორებს შესაძლებლობა ჰქონდათ მოეძიებინათ კოპროდიუსერები, ონლაინ მიედოთ მონაწილეობა მნიშვნელოვან შეხვედრებში და გაეზიარებინათ მათი უცხოელი კოლეგების გამოცდილება. ასევე, საქართველოს ვირტუალური პავილიონის სტუმრები ეცნობოდნენ ქართული ანიმაციური ფილმების პროექტებსა და ილუსტრაციებს.



“ცუდი ხალხი” Indie Short Fest-ის დაჯილდოვების ნომინანტია

გიორგი თავართქილაძის მოკლემეტრაჟიანი ფილმი “ცუდი ხალხი” ლოს ანჯელესში, Indie Short Fest-ის დაჯილდოვებაზე 2 ნომინაციაშია წარდგენილი: საუკეთესო მოკლემეტრაჟიანი ფილმი და საუკეთესო სამსახიობო ანსამბლი (პროდიუსერი ვლადიმერ კაჭარავა, კომპანია – 20 Steps Productions). დაჯილდოვების ცერემონია ოქტომბრის თვეში გაიმართება. სიმბოლურია, რომ Indie Short Fest იყო პირველი საერთაშორისო კინოფესტივალი, რომელმაც 2019 წელს “ცუდი ხალხი” თავისი პროგრამისთვის შეარჩია.

აღსანიშნავია, რომ “ცუდი ხალხის” ევროპული სატელევიზიო პრემიერა შედგა ივნისში ტელეარხზე Catalan TV, რომელიც ერთ-ერთი რეიტინგული ტელევიზიაა ესპანეთში.

ასევე, გიორგი თავართქილაძის კიდევ ერთი მოკლემეტრაჟიანი ნამუშევარი “ერთი საათი” წარმოდგენილი იქნება დანიაში, Odense International Film Festival-ის მთავარ კონკურსში.

ქუთაისის საერთაშორისო მოკლემეტრაჟიანი ფილმების ფესტივალი

8-12 მაისს ქუთაისი მასშინძლობდა საერთაშორისო მოკლემეტრაჟიანი ფილმების ფესტივალს. ღონისძევა ჩატარდა ქუთაისის მერიისა და ეროვნული კინოცენტრის მხარდაჭერით. ფესტივალი საზეიმოდ გაიხსნა 8 მაისს ლადო მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში ლეო გაბრიადის ფილმით „ჰარი ჰარალე დედო“.



ფესტივალის მსვლელობისას, აუდიტორიას შესაძლებლობა ჰქონდა ეხილა მოკლემეტრაჟიანი ფილმები არაერთი ქვეყნიდან, მათ შორის როგორც ქართული თანამედროვე ნამუშევრები, ასევე კინოკლასიკა. კინოჩვენებები გაიმართა ქუთაისის კინოთეატრში „საქართველო“ რეგულაციების სრული დაცვით და მათზე დასწრება თავისუფალი იყო.

დაჯილდოვების ცერემონიაზე გამოვლინდნენ შემდეგი გამარჯვებულები:

ფესტივალის მთავარი (10-30 წთ) საერთაშორისო საკონკურსო პროგრამა

- „ოქროს დინოზავრი“ პრიზი საუკეთესო ფილმისთვის – „ო, დე!“, საფრანგეთი.
- „ოქროს დინოზავრი“ საუკეთესო რეჟისურისთვის – ირინე ჟორდანიას, ფილმისთვის „მარქსის ქუჩა 12“, საქართველო.
- განსაკუთრებული ვიზუალური გადანწყვეტისთვის პრიზი გადაეცა იტალიურ ფილმს „ნავსაყუდელი“.
- ჟიურის სპეციალური პრიზით დაჯილდოვდა თორნიკე ბზიავას ფილმი „თევზაობა“.
- ფესტივალის კინოკრიტიკოსთა დამოუკიდებელმა ჟიურმა (გოგი გვახარია, ანუკა ლომიძე, სალომე კიკალაიშვილი) გამოავლინა თავისი რჩეული ფილმი – „სამშობლო“, ბულგარეთი.

ფესტივალის სუპერ-მოკლე საერთაშორისო ფილმების (1-5 წთ) პროგრამა:

- „ოქროს ნაკვალევი“ საუკეთესო მოკლე ფილმის კატეგორიაში – „კანკალი“, ინდოეთი.
- გამომსახველობით თხრობაში შუქ-ჩრდილების განსაკუთრებული შეგრძნებისთვის კინოფესტივალის სტუმარმა და ჟიურის წევრმა, კინოგანათების ტექნიკის კომპანიის „დედოვავიგერტის“ წარმომადგენელმა ალექსეი ბერკოვიჩმა „დედო-ვავიგერტ ფილმის“ განათების აპარატურა გადასცა ჟიურის წევრს, კინოოპერატორ გიორგი შველიძეს.

ფესტივალის განმავლობაში გაიმართა „სცენარის განვითარების ვორქშოფი“, რომლის ფარგლებშიც გამოვლინდნენ გამარჯვებულები და პარტნიორთა რჩეულები. (ვორქშოფის მენტორები: ლევან კიტია, ბესო ოდიშარია, გელა ბაბლუანი).

„თიბისი კონცეპტის“ დაწესებული ფულადი პრემია 1000 ლარი გადაეცა ორ გამარჯვებულს: იზა თითბერიძეს პროექტით „ჩვენ და ისინი“ და ლევან შუბაშვილს პროექტით „თვის ბოლოს“.

სტუდიები „სოუითგოუზ“ და „ნიუდოკფილმი“ ქუთაისის ფესტივალის ფარგლებში სცენარის განვითარების ვორქშოფში მონაწილე 2 პროექტს პოსტ-პროდუქციის ეტაპზე უზრუნველყოფს სამონტაჟო სტუდიითა და სტუდიური მომსახურებით. რჩეული პროექტები გახდნენ საბა ქარელი – „მეორე მხარე“ და ლევან ჭყონია – „ზღაპარი“

თბილისის საერთაშორისო სტუდენტური კინოფესტივალი

29 ივნისს, კინოთეატრ „ამირანში“, თბილისის რიგით მე-13 საერთაშორისო სტუდენტური კინოფესტივალი კინორეჟისორ ალექსანდრე რეხვიაშვილის მიერ 1971 წელს გადაღებული ფილმით „ნუცა“ და მისი ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველი ფოტოგამოფენით გაიხსნა.



ფესტივალის საკონკურსო პროგრამაში, სელექციის შედეგად, 11 ქვეყნის 32 ფილმი მონაწილეობდა. საკონკურსო ჟიურიმ, რომლის შემადგენლობაშიც იყვნენ კინომცოდნეები ლელა ოჩიაური და თეო ხატიაშვილი, ასევე სტუდენტი-კინომცოდნე ლაშა ბურჭანაძე, გამოავლინეს გამარჯვებულები შემდეგ ნომინაციებში:

ფესტივალის გრან პრი

I'm here / Film by Julia Orlik / Animation

The Polish National Film, Television and Theatre School in Lodz / POLAND

საუკეთესო მხატვრული მოკლემეტრაჟიანი ფილმი

The Dregs / Film by Yuval Nitzan / Short Fiction

The Jerusalem Sam Spiegel Film School / ISRAEL

საუკეთესო ანიმაციური ფილმი

Skyscraper / Film by Davit Shekriladze / Animation

TAFU / GEORGIA

საუკეთესო დოკუმენტური ფილმი

Lazare / Film by Levan Chkonia / Documentary

TAFU / GEORGIA

პრიზი საუკეთესო რეჟისურისათვის

Sea by the river and the river by the sea / Film by Sovran Nrecaj / Short Fiction
Sarajevo Film Academy / BOSNIA AND HERZOGOVINA

ჟიურის სპეციალური აღნიშვნის დიპლომი

Mila / Film by Salome Vepkhvadze / Short Fiction
TAFU / GEORGIA



ფესტივალზე ფიჩინგ ვორქშოფი ჩაატარა გერმანიაში მოღვაწე ქართველმა კინორეჟისორმა ზაზა რუსაძემ, რის შემდეგაც ჟიურის წევრებმა – დავით ჭანელიძემ, ქეთი მაჭავარიანმა და ვოვა კაჭარავამ გამოავლინეს შემდეგი გამარჯვებულები:

1. პირველი ადგილი – გაბრიელ ხოტივარი – „კატაბაზისი“
2. მეორე ადგილი – გიორგი გეთიაშვილი – „კახაბერი“
3. მესამე ადგილი – სალომე ვეფხვაძე – „ბედის მწერლები“

ფესტივალის ფარგლებში ასევე ჩატარდა სალომე ჯაშის, თინათინ კვინიკაძის, პაატა გოძიაშვილისა და დავით ფირცხალავას მასტერკლასები.

ფესტივალი ხორციელდება საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ, თბილისის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის, საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის, გოეთეს ინსტიტუტის, კინოთეატრ „ამირანისა“ და საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მხარდაჭერით.

ოთარ იოსელიანის ფილმების რეტროსპექტივა კინოთეატრ “არსენალში”

13 აპრილს, ბერლინში, კინოთეატრ “არსენალი”-ს ვირტუალური კინოდარბაზში შედგა ონლაინ-დისკუსია რეჟისორ ოთარ იოსელიანთან.

აღსანიშნავია, რომ “არსენალმა” აპრილის თვეში აუდიტორიას შესთავაზა ოთარ იოსელიანის ფილმების რეტროსპექტივა დაწყებული “გიორგობისთვით”, დასრულებული რეჟისორის ჟურნალისტობით ბოლო ნამუშევრით – “ზამთრის სიმღერა”.

დეა კულუმბეგაშვილის ფილმი “დასაწყისი” ესპანეთის კინოთეატრებში

ესპანეთის კინოთეატრებში აჩვენეს დეა კულუმბეგაშვილის არაერთი ჯილდოს მფლობელი სადებიუტო ნამუშევარი “დასაწყისი”. ჩვენებები 31 მაისსა და 1 ივნისს შედგა და მათ რეჟისორიც დაესწრო.

“დასაწყისი” სან სებასტიანის საერთაშორისო კინოფესტივალზე 2020 წლის სექტემბრის თვეში წარსდგა, სადაც ფილმმა 4 ჯილდო მიიღო:

- კინოფესტივალის მთავარი პრიზი – “ოქროს ნიჟარა”;
- დეა კულუმბეგაშვილი – საუკეთესო რეჟისორი (ვერცხლის ნიჟარა);
- ია სუხიტაშვილი – საუკეთესო მსახიობი ქალი (ვერცხლის ნიჟარა);
- დეა კულუმბეგაშვილი და რატი ონელი – საუკეთესო სცენარი (ჟიურის სპეციალური პრიზი);

“მშთ-15, ბედნიერების ანგელოზი”

ვახტანგ კუნცევ-გაბაშვილის ახალი დოკუმენტური ფილმის პრემიერა გაიმართა უკრაინაში, საერთაშორისო კინოაქტივისტების ფარგლებში. ფილმი სახელწოდებით “მშთ-15, ბედნიერების ანგელოზი” ასამბლეის გრან პრის მფლობელი გახდა!

“მკვდარი სულების არდადეგები”

კეკო ჭელიძის დოკუმენტური ფილმის, “მკვდარი სულების არდადეგების” ჩვენებები შედგება ბელგიაში, გაერთიანებულ სამეფოსა და ირლანდიაში!

“მკვდარი სულების არდადეგები” საპროდიუსერო კომპანია Parachute Films-ის პირველი დასრულებული ფილმია, რომელიც ეროვნული კინოცენტრის მხარდაჭერით შეიქმნა. იგი მოგვითხრობს 90-იანი წლების ქართული ალტერნატიული სცენის გამორჩეული მუსიკოსის – ლევან სვანიძის შესახებ, რომელიც გარეუბანში ხანდაზმულ დედასთან ერთად ცხოვრობს. ლევანი ცდილობს გაუმკლავდეს ყოფით პრობლემებს და დაიბრუნოს წარსული წარმატება.

“ნეტავი იქ თეატრი არის?!”

დიასპორის დღესთან დაკავშირებით, 28, 29 და 30 მაისს, ირლანდიაში საქართველოს საელჩოსა და საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის ორგანიზებით ონლაინ გაიმართა ნანა ჯანელიძის ფილმის ონლაინ ჩვენება სახელწოდებით “ნეტავი იქ თეატრი არის?!”.



საქართველოს კინოთეატრები

ივნისის თვეში საქართველოს კინოთეატრებში ის ქართული ფილმები გამოვიდა, რომელთა პრემიერებსაც მაყურებელი განსაკუთრებით ელოდა:

- 4 ივნისს საქართველოს კინოთეატრებში გამოვიდა თათია სხირტლაძის დოკუმენტური ფილმი „დიდება დედოფალს“.
- 10 ივნისს საქართველოს კინოთეატრებში გამოვიდა უტა ბერიას ფილმი „უარყოფითი რიცხვები“.
- 24 ივნისს საქართველოს კინოთეატრებში გამოვიდა დეა კულუმბეგაშვილის ფილმი „დასაწყისი“.



- ზაზა ხალვაშის ბოლო ნამუშევარი “ლოტო” მონაწილეობდა ვილნიუსის საერთაშორისო კინოფესტივალის ინდუსტრიულ პროგრამაში;
- ქართული სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმის პროექტი (რეჟისორი რატი წითელაძე) სამუშაო სახელწოდებით „მაგრამ ღმერთო ჩემო, რატომ?“ შეირჩა კინოფესტივალ Visions du Réel-ის ინდუსტრიულ პლატფორმაზე. რატი წითელაძის კიდევ ერთი ფილმის პროექტი “თეთრი ღამეები” საერთაშორისო კინოფესტივალ Visions du Réel-ის ინდუსტრიულ პლატფორმაზე დაჯილდოვდა. პროექტს გადაეცა სალონიკის დოკუმენტური ფილმების საერთაშორისო ფესტივალის ჯილდო (Thessaloniki Documentary Festival Award).
- ლუკა ბერაძის ფილმის პროექტი “დიმილიანი საქართველო” Film- und Medienstiftung NRW-ის გრანტის მფლობელი გახდა. პროექტს გადაეცა 25 000 ევრო.
- გიორგი ფარქოსაძის ქართულ-ბერძნული კოპროდუქცია “რეკვიემი ზაფხულის სიცხიან დღეებს” წარმოდგენილი იყო ვორცემოპზე Paradiddle Pictures.

eurimages



ევრიმაჟი

ქართულ-გერმანულმა კოპროდუქციამ “ევრიმაჟის” დაფინანსება მოიპოვა

25 ივნისს ევროპის საბჭოს კინოფონდ “ევრიმაჟის” მორიგ, 163-ე სამუშაო სესიას სტრასბურგმა ონლაინ ფორმატში უმასპინძლა.

“ევრიმაჟის” გადამწყვეტილებით, 163-ე სამუშაო სესიაზე სულ 49 ფილმის პროექტი დაფინანსდა 10,816,000 ევროს ოდენობით, მათ შორის ქართულ-გერმანული კოპროდუქცია “გონდოლა”. ფილმის რეჟისორია ფაიტ ჰელმერი, ხოლო კოპროდუქსერი ციაკო აბესაძე. გადაღებები საქართველოში, კერძოდ კი ხულოს რაიონში იგეგმება.

საქართველო „ევრიმაჟის“ წევრი ქვეყანა 2011 წელს გახდა. ამ წლების მანძილზე კინოფონდის მიერ მხარდაჭერილია 17 ქართულ-უცხოური კოპროდუქცია, ქართული პროექტების დასაფინანსებლად კი გაცემულია 3 322 322 ევრო.

2019 წლის ივლისიდან “ევრიმაჟი” საქართველოს წარმომადგენლის თანამდებობას ცნობილი ქართველი რეჟისორი, სცენარისტი და მსახიობი ნინო კირთაძე იკავებს.


ქართული კინოს ფორუმი ბაკურიანში

ეროვნული კინოცენტრის ინიციატივით 25-30 ივნისს ბაკურიანში ქართული კინოს ფორუმს მესამედ უმასპინძლა. ფორუმის სახელწოდებაა „ნახე პირველად ბაკურიანში“ და იგი საზოგადოებას იმ ახალ ქართულ ფილმებს სთავაზობს, რომლებიც ფართო აუდიტორიას ჯერ არ უნახავს.



ღონისძიების მონაწილეებმა რეგულაციების დაცვით ნახეს უახლესი ქართული მხატვრული, დოკუმენტური და მოკლემეტრაჟიანი ფილმები (სულ 20-მდე ფილმი). მათ შორის იყო: ერთ-ერთი ყველაზე ტიტულოვანი ქართველი რეჟისორის – ზაზა ურუშაძის ბოლო ნამუშევრი „ანტონი“, კანის საერთაშორისო კინოფესტივალის ოფიციალურ სელექციაში შერჩეული და უკვე არაერთი პრესტიჟული ჯილდოს მფლობელი ფილმი „დასაწყისი“ (რეჟისორი დეა კულუმბეგაშვილი), ასევე საერთაშორისო ასპარეზზე აღიარებული დოკუმენტური ფილმი „მოთვინიერება“ (რეჟისორი სალომე ჯაში) და ალექსანდრე კობერიძის ფილმი „რას ვხედავთ, როდესაც ცას ვუყურებთ“, რომლის მსოფლიო პრემიერაც წელს გაიმართა ბერლინის საერთაშორისო კინოფესტივალზე.

ბაკურიანის კინოფორუმს დაესწრნენ კინოკრიტიკოსები, ჟურნალისტები, რეჟისორები, პროდიუსერები და მსახიობები. კინოჩვენებების გარდა, „შემოქმედებითი ევროპის“ ორგანიზებით ფორუმის სტუმრებისთვის მოეწყო პროგრამის პრეზენტაცია და საინტერესო დისკუსია ქართულ კინემატოგრაფიაში მიმდინარე პროცესებზე. ასევე, ეროვნული კინოცენტრის დირექტორმა გაგა ჩხეიძემ კინოსექტორის წარმომადგენლებს წარუდგინა მისი ხედვა ქართული კინოს განვითარების შესახებ.



ღონისძიების მხარდამჭერები: „ემ თი ეი“, „შემოქმედებითი ევროპა“, სასტუმრო „კრისტალი“ და ბორჯომის მუნიციპალიტეტი.

ეროვნული კინოცენტრის კინოკლუბი

ბერლინის საერთაშორისო კინოფესტივალის საზეიმოდ გახსნის პარალელურად, ეროვნულმა კინოცენტრმა მაყურებელს შესთავაზა ბერლინალეს მონაწილე ქართული ფილმების ონლაინ რეტროსპექტივა. კინოფესტივალის მსგავსად, რეტროსპექტივა ორ ნაწილად დაიგეგმა – მარტისა და ივნისის თვეებში.



რეტროსპექტივის ფარგლებში შედგა შემდეგი ქართული ფილმების ონლაინ ჩვენებები:

- თემურ ბაბლუანის „უძინართა მზე“
- ზაზა ხალვაშის „იქ-ჩემთან“
- რატი ონელის „მზის ქალაქი“
- ლევან კოლუაშვილის „შემთხვევითი პაემნები“
- რეზო გიგინეიშვილის „მძევლები“
- გიორგი ოვაშვილის „გალმა ნაპირი“

ბერლინალეს რეტროსპექტივის გარდა, ეროვნულ კინოკლუბში შაბათობით ტრადიციულად მიმდინარეობდა ქართული ფილმების ონლაინ ჩვენებები. პროგრამაში იყო როგორც მხატვრული, ასევე დოკუმენტური ფილმები: „სამი სახლი“, „დიდება დედოფალს“, „ბოროტმოქმედი“, „სიმინდის კუნძული“, „თეთრი ქარავანი“, „ბედნიერების ღმერთი“, „ანას ცხოვრება“, „მოირა“, „დაუმთავრებელი სპექტაკლის ქრონიკა“, „ნეტავი იქ თეატრი არის?!“, „დაისის მიზიდულობა“, „მარილივით თეთრი“, „პრეზიდენტი“, „სხვისი სახლი“, „ქუჩის დღეები“, „მე ვარ ბესო“ და „გოგიტას ახალი ცხოვრება“.

ეროვნული კინოცენტრის კინოკლუბმა ტრადიციულის გარდა, სპეციალურ ონლაინ კინოჩვენებებსაც უმასპინძლა. 9 აპრილს შედგათორნიკეზბიავას ფილმის ჩვენებასახელწოდებით „აპრილის სუსხი“. ფილმს საფუძვლად უდევს 1989 წლის 9 აპრილს განვითარებული ტრაგიკული მოვლენები. 11 ივნისს კი კინოკლუბმა მაყურებელს შესთავაზა ბაადურ ნულაძის ფილმი „ფეოლას“ აღდგენილი ვერსია. ფილმის სცენარის ავტორები არიან რეზო გაბრიაძე და გოგი ჩარკვიანი. ჩვენება სწორედ დიდ ქართველ ხელოვანს – რეზო გაბრიაძეს მიეძღვნა. 2019 წლის ივლისიდან „ევრიმაჟში“ საქართველოს წარმომადგენლის თანამდებობას ცნობილი ქართველი რეჟისორი, სცენარისტი და მსახიობი ნინო კირთაძე იკავებს.


ვიზიტები და სამუშაო შეხვედრები

ისრაელის ელჩის ვიზიტი ეროვნულ კინოცენტრში

13 აპრილს ეროვნულ კინოცენტრს ეწვია ისრაელის ელჩი საქართველოში ბატონი რან გიდორი, რომელსაც ეროვნული კინოცენტრის დირექტორმა, გაგა ჩხეიძემ უმასპინძლა.

შეხვედრისას მხარეებმა ისაუბრეს საქართველოსა და ისრაელს შორის თანამშრომლობის გაღრმავებაზე კინონარმოების კუთხით და ორმხრივი ხელშეკრულების გაფორმების საკითხზე, რომელიც ხელს შეუწყობს ქვეყნებს შორის ერთობლივ წარმოებას.

ასევე, საუბარი შეეხო პირველ ქართულ-გერმანულ კოპროდუქციას ისრაელის მონაწილეობით სახელწოდებით “წესების დაცვით”. ფილმს იღებს ცნობილი რეჟისორი დოვერ ქოსაშვილი. ეროვნული კინოცენტრი პროექტის თანადამფინანსებელია.



გენერალური ასამბლეა European Film Promotion-ის ორგანიზებით

European Film Promotion-ის ორგანიზებით გაიმართა გენერალური ასამბლეა. ღონისძიება ონლაინ ფორმატში მიმდინარეობდა.

ასამბლეაზე საქართველოს და ეროვნულ კინოცენტრს წარმოადგენდა რეჟისორი ნინო კირთაძე. მისი მოხსენება Spotlight on Georgia მიეძღვნა ქართული კინოს დღევანდელ მდგომარეობას, მის წარსულსა და სამომავლო გამოწვევებს.

კინოფოტოფონო დოკუმენტების არქივის პროექტი

14 აპრილს ეროვნულ კინოცენტრში გაიმართა სამუშაო შეხვედრა, რომელზეც კინოცენტრის წარმომადგენლებმა საქართველოს ეროვნულ არქივთან ერთად განიხილეს კინოფოტოფონო დოკუმენტების არქივის პროექტი. აღნიშნული პროექტი ხორციელდება იუსტიციისა და კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროების ერთობლივი ძალისხმევით.



შეხვედრას ესწრებოდნენ ეროვნული კინოცენტრის დირექტორი გაგა ჩხეიძე, კინოპოპულარიზაციის დეპარტამენტის ხელმძღვანელი მანანა სურაძე, კინომემკვიდრეობის მენეჯერი ნენო ქავთარაძე, ეროვნული არქივის დირექტორი თეონა იაშვილი, კინოფოტოფონოდოკუმენტების ცენტრალური არქივის დირექტორი გიორგი კაკაბაძე, საარქივო საქმის სპეციალისტი ნინო ძანძავა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსი ილია ლომიძე.

შეხვედრის მსვლელობისას აღნიშნული ინსტიტუციების წარმომადგენლებმა ისაუბრეს კინოფოტოფონოდოკუმენტების არქივის საპროექტო ტექნიკურ დავალებაზე, განიხილეს წინასაპროექტო ღონისძიებები, გეგმარებისას გასათვალისწინებელი პირობები, აღრიცხული მასალის (უმეტესწილად ფირების) სპეციფიკა და მათი საერთო რაოდენობა, ასევე, სხვადასხვა ტიპის ფირის (ნიტროფუძიანი, ტრეაცეტატი) განთავსების საკითხი. გამოითქვა მოსაზრება ტექნიკურ სამუშაოებში უცხოელი ექსპერტების და არქივების მსოფლიო ასოციაციის (FIAF) ჩართვის აუცილებლობაზე.

აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით, კიდევ ერთი სამუშაო შეხვედრა გაიმართა 21 აპრილს საქართველოს საზოგადოებრივ მაუწყებელში. შეხვედრას ესწრებოდნენ: საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალური დირექტორი თინათინ ბერძენიშვილი, მედიის ბლოკის ხელმძღვანელი რუსუდან მანჯგალაძე, ფინანსური დირექტორი ნოდარ ჭიჭინაძე, ეროვნული კინოცენტრის დირექტორი გაგა ჩხეიძე, კინოცენტრის კინოხელოვნების პოპულარიზაციის დეპარტამენტის ხელმძღვანელი მანანა სურაძე, კინომემკვიდრეობის მენეჯერი ნენო ქავთარაძე, ეროვნული არქივის დირექტორი თეონა იაშვილი და კინოფოტოფონოდოკუმენტების ცენტრალური არქივის დირექტორი გიორგი კაკაბაძე.

ტელევიზიის არქივის (ფირები, ვიდეო და აუდიო მასალა) შედარებით მცირე ნაწილის განთავსება იგეგმება საზოგადოებრივი მაუწყებლის ახალ შენობაში, რომლის მშენებლობა დასრულდება 2 წელიწადში. საარქივო მასალების დიდი ნაწილის გადატანა კი მოხდება ახალ საერთო არქივში, რომლის შემადგენელი ნაწილები იქნება თანამედროვე სტანდარტების ტექნიკით აღჭურვილი საცავები, ლაბორატორიები, საპროექციო დარბაზი და საოფისე სივრცე. ახალ არქივში თავს მოიყრის ყველა არსებული კოლექცია.

აღსანიშნავია, რომ პროექტის შექმნისა და განხორციელების პროცესში ჩართული იქნებიან უცხოელი ექსპერტები, რომლებიც საჭირო კონსულტაციას გაუწევენ ქართველ კოლეგებს.

ეროვნული კინოცენტრის მხარდაჭერით შექმნილი ფილმების შესახებ უზუსტობის აღმოჩენის ან დამატებითი ინფორმაციის ფლობის შემთხვევაში, შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ და მოგვანოდოთ ინფორმაცია შემდეგ ელექტრონულ მისამართზე info@gnfc.ge



**საქართველოს კინემატოგრაფიის
ეროვნული ცენტრი**
Georgian National
Film Center

საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი

სანაპიროს #4
თბილისი 0105, საქართველო

ტელ: +995 32 299 92 00
ფაქსი: +995 32 299 91 02

info@gnfc.ge

www.gnfc.ge

www.filmcommission.ge